

# მთავარი თემა - უკრაინა რა საფრთხეებს უქმნის უკრაინის კრიზისი საქართველოს?




# საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა

## 2014 წლის აპრილის მონაცემები


\* 2014 წლის მონაცემები მთლიანად და ზოგიერთი 2013 წლის მონაცემი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინასწარ დათვლებს ემყარება

\* საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური პერსპექტივა აპრილის თვიდან ველარ აკეთებს პროგნოზებს უკრაინისთვის


მთავრობის მთლიანი ვალის პროცენტული წილი მშპ-ში




მთავრობის მთლიანი ხარჯების პროცენტული წილი მშპ-ში



საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მრეწველობის პროცენტული წვლილი



საშუალო სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ინდექსი





### პროექტის „საქართველო და მეზობლების“ შესახებ

„საქართველო და მეზობლები“ პერიოდული ანალიტიკური გამოცემაა, რომელიც მიმოიხილავს და აანალიზებს ეკონომიკური განვითარების, ფინანსური ბაზრებისა და ბიზნეს ტენდენციებს საქართველოს სამეზობლოსა და მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან. პროექტის მიზანია თვალის ადევნოს მსოფლიოსა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს და ამ მოვლენების საქართველოზე შესაძლო გავლენის პროგნოზები შესთავაზოს მკითხველს. ამ პუბლიკაციის მთავარი სამიზნე ჯგუფი და აუდიტორია საქართველოს ბიზნეს სექტორი და საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან. „საქართველოსა და მეზობლების“ მიერ შემოთავაზებული დასკვნები და პროგნოზები ემყარება საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში ინტენსიური კვლევისა და კონსულტაციების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პუბლიკაცია მომზადებულია EPRC-ის მკვლევარებისა და კონსულტანტების მიერ.



# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (2013-2014 წლების რეიტინგი)

© 2013 World Economic Forum | www.weforum.org/gcr

ქვეყანა/ეკონომიკა	GCI 2013-2014				ქვეყანა/ეკონომიკა	GCI 2013-2014				ქვეყანა/ეკონომიკა	GCI 2013-2014			
	რანგი	ქულა	რანგი	ცვლილ.		რანგი	ქულა	რანგი	ცვლილ.		რანგი	ქულა	რანგი	ცვლილ.
შვეიცარია	1	5,67	1	0	ყაზახეთი	50	4,41	51	1	ნიკარაგუა	99	3,84	108	9
სინგაპური	2	5,61	2	0	პორტუგალია	51	4,40	49	-2	ალჟირი	100	3,79	110	10
ფინეთი	3	5,54	3	0	ლატვია	52	4,40	55	3	სერბეთი	101	3,77	95	-6
გერმანია	4	5,51	6	2	სამხრეთ აფრიკა	53	4,37	52	-1	გუინა	102	3,77	109	7
აშშ	5	5,48	7	2	კოსტა რიკა	54	4,35	57	3	ლიბანი	103	3,77	91	-12
შვედეთი	6	5,48	4	-2	მექსიკა	55	4,34	53	-2	არგენტინა	104	3,76	94	-10
ჰონგ-კონგი	7	5,47	9	2	ბრაზილია	56	4,33	48	-8	დომინიკის რესპუბლიკა	105	3,76	105	0
ჰოლანდია	8	5,42	5	-3	ბულგარეთი	57	4,31	62	5	სურინამი	106	3,75	114	8
იაპონია	9	5,40	10	1	კვიპროსი	58	4,30	58	0	მონტენეგრო	107	3,75	93	-14
გაერთიანებული სამეფო	10	5,37	8	-2	ფილიპინები	59	4,29	65	6	ლიბია	108	3,73	113	5
ნორვეგია	11	5,33	15	4	ინდოეთი	60	4,28	59	-1	ბუტანი	109	3,73	n/a	n/a
ტაივანი, ჩინეთი	12	5,29	13	1	პერუ	61	4,25	61	0	ბანგლადეში	110	3,71	118	8
ყატარი	13	5,24	11	-2	სლოვაკეთი	62	4,25	56	-6	ჰონდურასი	111	3,70	90	-21
კანადა	14	5,20	14	0	უნგრეთი	63	4,25	60	-3	გაბონი	112	3,70	99	-13
დანია	15	5,18	12	-3	რუსეთი	64	4,25	67	3	სენგალელი	113	3,70	117	4
ავსტრია	16	5,15	16	0	შრი-ლანკა	65	4,22	68	3	განა	114	3,69	103	-11
ბელგია	17	5,13	17	0	რუანდა	66	4,21	63	-3	კამერუნი	115	3,68	112	-3
ახალი ზელანდია	18	5,11	23	5	მონტენეგრო	67	4,20	72	5	გამბია	116	3,67	98	-18
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	19	5,11	24	5	იორდანია	68	4,20	64	-4	ნემალი	117	3,66	125	8
საუდის არაბეთი	20	5,10	18	-2	კოლუმბია	69	4,19	69	0	ეგვიპტე	118	3,63	107	-11
ავსტრალია	21	5,09	20	-1	ვიეტნამი	70	4,18	75	5	პარაგვაი	119	3,61	116	-3
ლუქსემბურგი	22	5,09	22	0	ეკვატორი	71	4,18	86	15	ნიგერია	120	3,57	115	-5
სადრანგეთი	23	5,05	21	-2	<b>საქართველო</b>	<b>72</b>	<b>4,15</b>	<b>77</b>	<b>5</b>	ყირგიზეთი	121	3,57	127	6
მალაიზია	24	5,03	25	1	მაკედონია	73	4,14	80	7	კაპე ვერდე	122	3,53	122	0
სამხრეთ კორეა	25	5,01	19	-6	ბოტსვანა	74	4,13	79	5	ლესოტო	123	3,52	137	14
ბრუნეი	26	4,95	28	2	ხორვატია	75	4,13	81	6	სვანაილანდი	124	3,52	135	11
ისრაელი	27	4,94	26	-1	რუმინეთი	76	4,13	78	2	ტანზანია	125	3,50	120	-5
ირლანდია	28	4,92	27	-1	მაროკო	77	4,11	70	-7	კოტ-დ'ივუარი	126	3,50	131	5
ჩინეთი	29	4,84	29	0	სლოვაკეთი	78	4,10	71	-7	ეთიოპია	127	3,50	121	-6
პუერტო რიკო	30	4,67	31	1	სომხეთი	79	4,10	82	3	ლიბია	128	3,45	111	-17
ისლანდია	31	4,66	30	-1	სეიშელის კუნძულები	80	4,10	76	-4	უგანდა	129	3,45	123	-6
ესტონეთი	32	4,65	34	2	ლაოსი	81	4,08	n/a	n/a	ბენინი	130	3,45	119	-11
ომანი	33	4,64	32	-1	ირანი	82	4,07	66	-16	ზიმბაბვე	131	3,44	132	1
ჩილე	34	4,61	33	-1	ტუნისი	83	4,06	n/a	n/a	მადაგასკარი	132	3,42	130	-2
ესპანეთი	35	4,57	36	1	<b>უკრაინა</b>	<b>84</b>	<b>4,05</b>	<b>73</b>	<b>-11</b>	პაკისტანი	133	3,41	124	-9
ქუვეითი	36	4,56	37	1	ურუგვაი	85	4,05	74	-11	ვენესუელა	134	3,35	126	-8
ტაილანდი	37	4,54	38	1	გვატემალა	86	4,04	83	-3	მალდი	135	3,33	128	-7
ინდონეზია	38	4,53	50	12	ბოსნია და ჰერცეგოვინა	87	4,02	88	1	მალავი	136	3,32	129	-7
ამერბაიჯანი	39	4,51	46	7	კამბოჯა	88	4,01	85	-3	მონაზიკი	137	3,30	138	1
პანამა	40	4,50	40	0	მოლდოვა	89	3,94	87	-2	ალმოსავლეთ ტიმორი	138	3,25	136	-2
მალტა	41	4,50	47	6	ნამიბია	90	3,93	92	2	მიანმარი	139	3,23	n/a	n/a
პოლონეთი	42	4,46	41	-1	საბერძნეთი	91	3,93	96	5	ბურკინა ფასო	140	3,21	133	-7
ბაჰრეინი	43	4,45	35	-8	ტრინიდადი და ტობაგო	92	3,91	84	-8	მავრიტანია	141	3,19	134	-7
თურქეთი	44	4,45	43	-1	ზამბია	93	3,86	102	9	ანგოლა	142	3,15	n/a	n/a
მავრიტუსი	45	4,45	54	9	იამაიკა	94	3,86	97	3	ჰაიტი	143	3,11	142	-1
ჩეხეთი	46	4,43	39	-7	ალბანეთი	95	3,85	89	-6	სიერა ლეონე	144	3,01	143	-1
ბრაზილსი	47	4,42	44	-3	კენია	96	3,85	106	10	იემენი	145	2,98	140	-5
ლიტვა	48	4,41	45	-3	ეკვალადორი	97	3,84	101	4	ბურუნდი	146	2,92	144	-2
იტალია	49	4,41	42	-7	ბოლივია	98	3,84	104	6	გვინეა	147	2,91	141	-6
										ჩადი	148	2,85	139	-9

# რა საფრთხეებს უქმნის უკრაინის კრიზისი საქართველოს?

ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების რომელ სფეროებშია მოსალოდნელი უკრაინის კრიზისის გავლენა

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება საქართველოსა და მის მეზობლებს შორის ყოველ წელს უფრო და უფრო იზრდება. კიევმა და თბილისმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 1996 წელს მოაწერეს ხელი. მას შემდეგ, ორ ქვეყანას შორის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა 18-ჯერ გაიზარდა<sup>1</sup>. ყოველთვიურად დაახლოებით 10,000 უკრაინელი ჩამოდის საქართველოში დასასვენებლად ან საქმიანი ვიზიტით. 2013 წლის განმავლობაში კი 136 უკრაინული და ქართულ-უკრაინული ერთობლივი ორგანიზაცია დარეგისტრირდა საქართველოში<sup>2</sup>.

საერთო საგარეო პოლიტიკური გამოწვევები ჩვენ ორ ქვეყანას შორის კავშირს კიდევ უფრო ამყარებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკრაინამ და საქართველომ გარკვეულწილად

მსგავსი პოლიტიკური ეტაპები გაიარეს. ორ ხალხს შორის მეგობრობის განცდა 2003 წლის ვარდების და 2004-2005 წლების ნარინჯისფერი რევოლუციების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. თუმცა ემოციები თანდათან მინელდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2010 წელს უკრაინის რევოლუციური მთავრობა ვიქტორ იანუკოვიჩის პოლიტიკურმა გუნდმა შეცვალა. ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და განცდა, რომ ორივე ერი ერთსა და იმავე საგარეო საფრთხის წინაშე დგას, ევრომაიდანმა განაახლა. საქართველოში ყველას ესმის, რომ უკრაინის კრიზისის შედეგები, როგორც არ უნდა იყოს ის, საქართველოზეც მოახდენს გავლენას – გავლენას, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იგრძნობს. საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების



რომელი სფეროებია ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ და რა მასშტაბებს შეიძლება მიაღწიოს უკრაინის კრიზისის გავლენამ – ეს არის კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემასაც ამ ნაშრომში ვცდილობთ.

უკრაინის დროებითი მთავრობა, მსუბუქად რომ ვთქვათ, დაბნეული და შეშფოთებულია მზარდი სამხედრო და ეკონომიკური გამოწვევების გამო. იაცენიუკის გუნდი, რომელსაც ხშირად „კამიკაძე“ მთავრობასაც უწოდებენ<sup>3</sup>, შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებს სიტუაციის ნორმალიზებისთვის – ზოგმა პროაქტიურმა მინისტრმა უკვე წამოიწყო ძირეული რეფორმები. მაგალითად, ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა პავლო შერემეტამ და განათლების მინისტრმა სერგი კვიტმა. ხელისუფლება მოლაპარაკებებს მართავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ცალკეულ დონორ ქვეყნებთან ფინანსური დახმარების მსხვილი პაკეტის მიღების თაობაზე; საპრეზიდენტო არჩევნები 25 მაისისთვის დაინიშნა. თუმცა, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში სიტუაცია დღემდე უმართავია. პრორუსულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა დონეცკის სახალხო რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს და თითქმის 10 ქალაქში დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები და საპოლიციო შენაერთები. საჯარო გამოსვლებში პუტინმა უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილი, კერძოდ კი ქა-

ლაქების ხარკოვის, ლუგანსკის, დონეცკის და ოდესის მიმდებარე ტერიტორია „ნოვოროსიად“ და რუსეთის ისტორიულ ნაწილად მოიხსენია<sup>4</sup>. ასეთი განცხადებები ეჭვის ქვეშ აყენებს 17 აპრილს ჟენევაში მიღწეულ დიპლომატიურ შეთანხმებას. ბევრი უკრაინელი და უცხოელი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიზანი უკრაინაში არასტაბილური სიტუაციის შენარჩუნება და 2014 წლის მაისში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლაა. უკრაინის დასავლელი მოკავშირეები რუსეთის აგრესიის შეკავებას მხოლოდ დიპლომატიასა და ეკონომიკურ სანქციებზე დაყრდნობით ცდილობენ. ამავდროულად, უკრაინის ეკონომიკა დეფოლტის პირასაა. კიევმა უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან 27 მილიარდი აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფაზე. კრედიტის მიზანია, შეამსუბუქოს ეკონომიკური ზრდის შეჩერებით გამოწვეული კრიზისი, სახელმწიფო დეფიციტი, სავალუტო რეზერვების რეკორდულად დაბალი დონე, მილიარდობით დოლარის ვალი „გაზპრომის“ წინაშე და საბანკო სექტორის კრიზისი.

ჩვენი შეფასებით, უკრაინის ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეები პირდაპირ ან ირიბად იქონიებს გავლენას საქართველოს ოთხ სფეროზე: საჯარო ურთიერთობები უკრაინასთან, საქართველოს რეგიონული კონკურენტუნარიანობა, რეგიონული ენერგოპო-

უკრაინის ფინანსური საჭიროებები		დაფინანსების შესაძლო წყაროები	
სახელმწიფო ვალი (მთავრობა და უკრაინის ეროვნული ბანკი)	8.0	13.1	ფინანსური დახმარების პაკეტი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი	3.7	7.0	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
სახელმწიფო ევრობონდები	1.0	2.1	ევროკავშირი
„ნეფტოგაზის“ მიერ გამოშვებული ევრობონდები	1.6	4.0	დაფინანსების სხვა წყაროები (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, მსოფლიო ბანკი, ორმხრივი სესხები)
„ნეფტოგაზის“ დავალიანება „გაზპრომის“ მიმართ	1.7		
კერძო ვალი	62.5	64.5	ვალის რეფინანსირება
საბანკო სექტორი	14.5	12.6	85-90%
კორპორატიული სექტორი	48.0	51.8	105-110%
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	8.0	4.0	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
მოსახლეობის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვა	4.0		
ჯამი	81.5	81.6	ჯამი
თებერვლის ბოლოსთვის არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები	15.4		

უკრაინის ფინანსური საჭიროებები და დაფინანსების შესაძლო წყაროები მილიარდ აშშ დოლარში  
SigmaBleyzer & the Bleyzer Foundation-ის ანგარიში „უკრაინა, ეკონომიკური სიტუაცია“  
აპრილი 2014

ლიტიკა და საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები.

უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებები და პროგნოზები, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ, ემყარება ვარაუდს, რომ კიევი შეძლებს, შეაკავოს რუსეთის აგრესია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, მშვიდობიანად ჩაატარებს საპრემიენტო არჩევნებს, შეძლებს ვითარების დარეგულირებას და თავიდან აიცილებს ფართომასშტაბიან კონფრონტაციას რუსეთთან.

## ვაჭრობა და ინვესტიციები

2013 წელს, უკრაინა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის მე-3 ადგილზე იყო. საქართველოს ექსპორტის 10%, რომლის საერთო ღირებულებამ 192.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, უკრაინაში გაიგზავნა. იმავე წელს, უკრაინა მე-5 ადგილზე იყო საქართველოში განხორციელებული იმპორტის მიხედვით. შარშან ამ ქვეყნიდან 602.4 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია შემოვიდა. ნათელია, რომ მიმდინარე კრიზისი გავლენას იქონიებს უკრაინა-

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებზე. თუმცა, გავლენა ვერ იქნება ცალსახა და სწორხაზოვანი. საქმე გვაქვს კომპლექსურ მოვლენებთან, რომლებიც სხვადასხვაგვარ ზეგავლენას იქონიებს ჩვენი ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე.


### ექსპორტი

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, უკრაინის ეკონომიკამ ზრდის ტემპების სრულად აღდგენა ვეღარ შეძლო და 2011 წლიდან ზრდა საერთოდ შეაჩერა. 2014 წელს უკრაინის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 4%-იანი კლებაა მოსალოდნელი<sup>5</sup>. მიუხედავად ამისა, ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს ექსპორტი უკრაინაში მხოლოდ იზრდებოდა. მიმდინარე წელსაც კი, იანვარსა და თებერვალში საქართველოდან უკრაინაში გატანი-

ლი საქონლის ღირებულება გასული წლის ექსპორტის საშუალო თვიურ მაჩვენებელზე მაღალია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ფაქტორი, რომელიც უკრაინის ადგილობრივ ბაზარზე იქონიებს ხელშესახებ გავლენას, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ აისახება ეკონომიკაზე.

ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია უკრაინის ეროვნული ვალუტის – გრივნის გაუფასურება. თითქმის 4 წლის განმავლობაში, უკრაინის ეროვნული ბანკი დოლართან გრივნის გაცვლით კურსს 1:8-სთან ინარჩუნებდა. მაგრამ ეკონომიკური ზრდის შემცირებასთან ერთად ამ პოლიტიკის გატარება მთავრობას სულ უფრო და უფრო ძვირი უჯდება, რამაც უკრაინის ეროვნული ბანკის უცხოური სავალუტო რეზერვების შემცირება გამოიწვია. 2013 წლის აგვისტოს მიწურულს სავალუტო რე-

უკრაინის მშპ & მშპ ერთ სულ მოსახლეზე, 1992-2012წწ.



მსოფლიო ბანკის მონაცემები; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის გრაფიკი



ბერვების მოცულობამ 21.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო 7 წლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. გრივნის ფიქსირებულ კურსზე უარის თქმა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან კრედიტის მიღების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა იყო. უკრაინის ეროვნულმა ბანკმა ამ მოთხოვნის შესრულება თებერვლის შუა რიცხვებიდან დაიწყო. შედეგად, ორ თვეზე ნაკლებ დროში გრივნა 1 აშშ დოლართან მიმართებაში 12.7-ამდე გაუფასურდა. მოსალოდნელია, რომ გრივნის კურსი 1 აშშ დოლართან 11 – 11.5-ზე შეჩერდება. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი გაუთვალისწინებელი პოლიტიკური კრიზისი არ იქონიებს დამატებით უარყოფით გავლენას. ეროვნული ვალუტის გაუფასურება უკრაინელი მომხმარებლებისთვის იმპორტირებულ პროდუქციას გააძვირებს. გარდა ამისა, 2014 წელს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას ხელისუფლება სხვადასხვა გადასახადების, მათ შორის ალკოჰოლზე აქციზის განაკვეთის მომატებით გეგმავს<sup>5</sup>. ვინაიდან ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები საქართველოს მთავარი საექსპორტო საქონელია, ქართველ ექსპორტიორებს ამ ფაქტორის გათვალისწინებაც მოუწევთ.

უკრაინის მთავრობას მკაცრი ეკონომიკური ზომების მიღება ეტაპობრივად მოუწევს, რაც ადგილობრივ მოთხოვნას მნიშვნელოვნად შეამცირებს. ერთ-ერთ

თი ასეთი ზომა მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის სუბსიდიების გაუქმებაა. დღეისათვის უკრაინის სახელმწიფო ბუნებრივი აირის შესყიდვისა და მიწოდების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ფასს იხდის, მაგრამ მოსახლეობისთვის გაზისა და გათბობის ტარიფები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპაში. ასეთი პოლიტიკა ქვეყნას მშპ-ის 7% უკდება, როგორც პირდაპირი საბიუჯეტო სუბსიდიების, ასევე კვაზი-ფისკალური სუბსიდიების ჩათვლით<sup>7</sup>, რაც, რა თქმა უნდა, მძიმე ფისკალური ტვირთია ეკონომიკისთვის. სუბსიდირება, ზოგადად, უარყოფითად მოქმედებს მომსახურების ხარისხზე და ენერჯის არაეკონომიურ მოხმარების წახალისებას ახდენს. ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვლევამ სუბსიდიების, როგორც ღარიბთათვის სოციალური დახმარების გაწევის საშუალების ეფექტიანობაც დააყენა ეჭვქვეშ<sup>8</sup>. გარდამავალი მთავრობა, ისევე და ისევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით, დათანხმდა სუბსიდიების ეტაპობრივ გაუქმებას. მოსახლეობისთვის გათბობისა და ბუნებრივი აირის ფასების ზრდა ორ ეტაპად მოხდება – 2014 წლის მაისსა და ივლისში.

## იმპორტი

უკრაინიდან იმპორტს ცალსახად მზარდი ან კლებადი ტენდენცია არ ახასიათებს; იმპორტის მთლიანი ღირებულება წლიდან წლამდე იცვლება. ზოგადად უკანასკნელ წლების საქარ-

თველოში იმპორტის მოცულობა სტაბილურად იზრდება. 2014 წლის იანვარსა და თებერვალში მთლიანი იმპორტის წინასწარი მონაცემები 2012 და 2013 წლების შესაბამისი თვეების მაჩვენებლებს აღემატება<sup>9</sup>. თუმცა, იმავე თვეებში, იმპორტი უკრაინიდან შემცირდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. პირველი, რითიც ეს კლება შეიძლება აიხსნას, კრიზისია, თუმცა რეალური სავაჭრო ბარიერები ჯერჯერობით არ იკვეთება.

მომავალ თვეებში უკრაინული პროდუქტების გაიაფება ქართველი მომხმარებლებისთვის სასიამოვნო ცვლილება იქნება. გრივნის გაუფასურება უკრაინულ პროდუქტებსა და მომსახურებას უფრო კონკურენტულს გახდის ფასის თვალსაზრისით. გარდა ამისა, უკრაინის ექსპორტის 26% რუსეთში გადიოდა<sup>10</sup>. ეს ბაზარი უკრაინისთვის გაურკვეველი ვადით არის დაკარგული, რადგან მოსკოვმა უკრაინის პროდუქტებზე ემბარგო უკვე შემოიღო. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომ გაუარესებასთან ერთად კიდევ ბევრი ასეთი სანქციის ამოქმედებაა მოსალოდნელი. ეს უმთავრესად შეეხება უკრაინის მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და საკვების გადამამუშავების სექტორებს, კერძოდ რძისა და რძის პროდუქტებს, ასევე ხორცისა და საკონდიტრო ნაწარმს. ამ პროდუქტებმა ახალი ბაზრები უნდა მოძებნონ. რა თქმა უნდა, საქართველო არ არის ისეთი დიდი ბაზარი,

როგორც რუსეთია, მაგრამ გარკვეული წილის ათვისება შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წელი რეკორდულად კარგი წელი იყო უკრაინის სოფლის მეურნეობისთვის. 2013 წლის მე-4 კვარტალში ქვეყნის მშპ 3%-ით გაიზარდა განსაკუთრებით კარგი სასოფლო-სამეურნეო მოსავლის გამო<sup>11</sup>. ეს ფაქტორები განაპირობებს მომდევნო თვეებში უკრაინიდან ექსპორტის ზრდას, თუმცა ამ პროდუქციის გარკვეული მოცულობა ევროპის მიმართულებითაც წავა. აპრილის ბოლოდან ბრიუსელი უკრაინიდან იმპორტზე ტარიფების დროებით შეჩერებას, ხოლო წლის ბოლომდე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერას გეგმავს. თუმცა, ის რაც ქართველი მომხმარებლებისა და იმპორტიორებისთვის სასიამოვნო სიახლეა, შეიძლება არც ისე კარგი აღმოჩნდეს ქართველი მწარმოებლებისათვის. განსაკუთრებით მათთვის, ვინც ბაზრის იმავე სეგმენტში საქმიანობენ და ქართულ ბაზარზე კონკურენციას უწევენ უკრაინულ პროდუქტს. თუმცა, ჩვეულებრივ, კრიზისები თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებსა და სივრცეებსაც გამოავლენს ხოლმე. ქართველმა მწარმოებლებმა შესაძლოა სარგებელიც მიიღონ, თუ ყურადღებით დააკვირდებიან მოვლენების განვითარებას უკრაინაში.

ორი ფაქტორი, რამაც შეიძლება შეაფერხოს უკრაინის მზარდი საიმპორტო შესაძლებლობები არის მოსალოდნელი

სირთულეები მრეწველობის ენერგომომარაგების კუთხით და ზოგადად, შესაძლო ფინანსური პრობლემები ბიზნესსექტორში. სამრეწველო სექტორი არ სარგებლობდა სახელმწიფოს ენერგოსუბსიდიებით და ყოველთვის მოხმარებული ბუნებრივი აირის საბაზრო ფასს იხდიდა. თუმცა, გამოწვევას წარმოადგენს მათი ენერგოტევადი საწარმოო ციკლი. საშუალო ინდუსტრიულ ეკონომიკასთან შედარებით, უკრაინის ეკონომიკა 10-ჯერ მეტი ელექტროენერჯის/გაზს/ნავთობს მოიხმარს საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის<sup>12</sup>. ენერგომატარებლებზე ასეთი დამოკიდებულების გამო მწარმოებლები კიდევ უფრო დაუცველნი არიან „გაზპრომის“ მანიპულაციების წინაშე. 2014 წლის აპრილის მდგომარეობით, კიევის ვალი „გაზპრომის“ მიმართ 2.2 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში კრიზისის დაწყებისთანავე, „გაზპრომმა“ ბუნებრივი აირის ფასი თითქმის 80%-ით, ანუ 268 აშშ დოლარიდან 485 აშშ დოლარამდე გაზარდა. კიევმა „გაზპრომის“ ეს გადაწყვეტილება ერის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ აქტად შეაფასა და ოფიციალურად განაცხადა უარი ახალი ტარიფის გადახდაზე. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა კიევის ამ გადაწყვეტილებას და მზადყოფნა გამოთქვა, რომ არსებული მილსადენებით, უკუმიმართულებით მიაწოდოს ბუნებრივი აირი უკრაინას, მაგრამ ის მოცულობა, რომლის მიწოდება-

საც გერმანია (პოლონეთის გავლით) და სლოვაკეთი შეძლებენ, ვერ იქნება საკმარისი უკრაინის ეკონომიკისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პრობლემის მოკლევადიანი მოგვარებაა. უკრაინას დასტირდება ევროკავშირის შემდგომი დახმარება „გაზპრომთან“ ახალ შეთანხმებაზე მოლაპარაკებებსა და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაში ინვესტირების კუთხით. „გაზპრომთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე კი მრეწველობას, შესაძლოა, ენერგომომარაგებაში შეფერხებები ჰქონდეს.

ბუნებრივია, მოკლევადიან პერსპექტივაში ბიზნესკლიმატი ქვეყანაში ხელსაყრელი არ იქნება. ბოლო ორი წლის განმავლობაში უკრაინის ფინანსურ სექტორში მნიშვნელოვანი პრობლემები აღინიშნება. თებერვალ-მარტში, უკრაინის ეროვნული ბანკი იძულებული იყო დროებითი მმართველობა შემოეღო ოთხ კერძო ბანკში, მათ შორის ბაზრის წილის მოცულობით მე-6 და 24-ე ბანკებში<sup>13</sup>. გრივნის გაუფასურებამ დეპოზიტების შემცირება გამოიწვია. 2014 წლის პირველ ორ თვეში მოსახლეობამ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების, შესაბამისად, 7.9% და 7.8% გაიტანა, ხოლო პრობლემური სესხების წილმა 2013 წელს მთლიანი კრედიტების 40% შეადგინა<sup>14</sup>. ასეთი ვითარება აფრთხობს ბიზნესს, უბიძგებს მას ფული გაიტანოს ქვეყნიდან და თავი შეიკავოს ახალი ინვესტიციების ჩადებისგან. იმედს ვიქო-

საქართველო - უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები 2013 წელს 11 ყველაზე მოთხოვნილი საქონელი			
ექსპორტი	მთლიანი ღირებულება მლნ. აშშ დოლარში	იმპორტი	მთლიანი ღირებულება მლნ. აშშ დოლარში
ალკოჰოლური სასმელები	33	სიგარები, სიგარეტები	74
ღვინო	30	ნახშირბადიანი ფოლადის წნელები	66
მინერალური წყალი	30	მზესუმზირის და სხვა საკვები ზეთები	33
რკინიგზის ლოკომოტივები	28	ქვანახშირი	32,0
ფეროშენადნობები	27	შოკოლადის და კაკოს საკვები პროდუქტები	20
ციტრუსი და სხვა ნაყოფები (ახალი, გამშრალი)	13,5	რკინიგზის ლოკომოტივები და ნაწილები	16,0
კაკალი	8	შაქარი	16,0
მიწები შავი ლითონისგან	8	პური, საკონდიტრო ნაწარმი	14,0
ნავთობპროდუქტები	3	ხორცი (ახალი, გაყინული)	12,0
მსუბუქი ავტომანქანები	2,5	ავეჯი და ნაწილები	10,0
ბოსტნეული	2	სამკურნალო საშუალებები	10,0
<b>სხვა</b>	<b>7,7</b>	<b>სხვა</b>	<b>299,0</b>
<b>მთლიანად ექსპორტი</b>	<b>192,7</b>	<b>მთლიანად იმპორტი</b>	<b>602,0</b>

ნიებთ, რომ საერთაშორისო დახმარება, რომელსაც უკრაინის მთავრობა ამ წლის ბოლოდან ელოდება, შესუსტებს არსებულ დაძაბულობას ბაზარზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით ადევნებს თვალს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და მიაჩნია, რომ მონეტარული ზეგავლენა ქართულ ბანკებზე უმნიშვნელო იქნება. ქართული და უკრაინული საბანკო სექტორები არ არის ინტეგრირებული. ერთადერთი უკრაინული ბანკი, რომელიც

საქართველოში ფუნქციონირებს, არის „პრივატბანკი,“ რომლის საბაზრო წილიც 5%-მდეა. „საქართველოს ბანკი“ კი ერთადერთი ქართული ბანკია, რომელიც უკრაინაში ოპერირებდა, მაგრამ ჯერ კიდევ 2011 წელს გაყიდა თავისი წილი. ქართული ექსპორტი უკრაინაში საბანკო სესხებით არ ფინანსდება; ამიტომ, ექსპორტის შეფერხების შემთხვევაშიც კი არ არის მოსალოდნელი საქართველოს საბანკო სექტორში პრობლემური სესხების წილის ზრდა.

## სავაჭრო გზა

მთავარი სავაჭრო გზა საქართველოსა და უკრაინას შორის შავ ზღვაზე გადის. საქონლის 60%-ის გადაზიდვა ბორნით ხდება. საბორნე რეისებს უკრაინული კომპანია „უკრფერი“ ასრულებს უკრაინის ილიჩოვსკის პორტიდან ფოთის და ბათუმის მიმართულებით. ჩვეულებრივ, თითო რეისს ორდღენახევარი სჭირდება და კვირაში ერთხელ ან ორჯერ სრულდება. აპრილის შუა რიცხვებისთვის პორტის მიმდებარე ტერიტორიასა თუ ქალაქ დონეცკში რაიმე მნიშვნელოვანი სეპარატისტული მოქმედებები არ შეინიშნებოდა, მაგრამ პრორუსული შეიარაღებული დაჯგუფებები შთამბეჭდავი სისწრაფითა და ეფექტიანობით

ვრცელდებიან აღმოსავლეთ უკრაინულ ქალაქებში. იმის გათვალისწინებით, რომ დონეცკი პუტინის „ნოვოროსიას“ ხედვის არეში ხვდება, შანსი იმისა, რომ ბორნის მიმოსვლას შეეშალოს ხელი, მაღალია.

ჯერჯერობით, საბორნე რეისების შესრულებაში შეფერხებები, როდესაც ასეთი რამ ხდება, უკრაინის მხრიდან კორუფციის და სუსტი მენეჯმენტის პრობლემებით არის გამოწვეული და არა გაზრდილი უსაფრთხოების რისკების გამო. თუმცა, უსაფრთხოების ზომების გამო ფერხდება უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირება პორტის მიმართულებით.



ფოტო აღებულია Ukrferryის ვებგვერდიდან

## **ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

გასულ წელს, უკრაინიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა 45.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რითაც უკრაინა ფულადი გზავნილების სიდიდის მხრივ მე-5 წყაროა საქართველოსთვის. 2008 წელს გადმორიცხულ 70.5 მილიონ აშშ დოლართან შედარებით, შარშან უკვე 35%-ით იყო შემცირებული გზავნილების მოცულობა<sup>15</sup>. ფინანსური კრიზისის შემდეგ უკრაინიდან გზავნილები ყოველწლიურად იკლებდა, რაც უკრაინის ეკონომიკური ზრდის შეჩერებით აიხსნება. ბოლო სამი თვის განმავლობაში მიღებული ფულადი გზავნილები თვეში დაახლოებით 3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მხოლოდ მცირედით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებს. როგორც წესი, უკრაინიდან ფულადი გზავნილების საშუალო თვიური მაჩვენებელი შემოდგომის თვეებში იზრდება და თითქმის ორმაგდება დეკემბერში.

უკრაინიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მოკრძალებულია ჰოლანდიასთან (გასული წლის უმსხვილესი ინვესტორი), ასევე, ამერბაიჯანთან და თურქეთთან შედარებით. თუმცა დსთ-ის ჯგუფის ფარგლებში, უკრაინა სიდიდით მე-3 ინვესტორია. 2013 წელს უკრაინამ 25.4 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში, თუმცა 2012-ში მთლიანი ინვესტიცია

-1.2 მილიონი აშშ დოლარი იყო,<sup>16</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ ორი წლის წინ უკრაინულ ბიზნესს კაპიტალი ძირითადად გაჰქონდა საქართველოდან. 2014 წელს უკრაინიდან რაიმე მსხვილი ინვესტიცია მოსალოდნელი არ არის. მიმდინარე კრიზისის გამო, ზოგმა უკრაინულმა ბიზნესმა შესაძლოა კაპიტალის მეზობელ ქვეყნებში გატანა სცადოს. თუმცა, თუ 2014 წელს რამდენიმე უკრაინული ან უცხოური კომპანია გადაწყვეტს, რომ თავიანთი ბიზნესი საქართველოში გადმოიტანოს, ეს უფრო გამონაკლისი იქნება, ვიდრე ტენდენცია. საინტერესოა, რომ უკრაინიდან ვიზიტორების მაჩვენებელი 2014 წლის პირველ კვარტალში 51%-ით გაიზარდა 2013 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. 2014 წლის მარტის ბოლოს 27,000 ვიზიტორი აღირიცხა მაშინ, როდესაც გასულ წელს იგივე მაჩვენებელი 18,000 იყო.<sup>17</sup> ჩვეულებრივ, უკრაინიდან ჩამოსულთა რაოდენობა ბაფხულში და შემოდგომაზე ორმაგდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი უმრავლესობა დასასვენებლად ჩამოდის. წლის პირველ კვარტალში ასეთი მატება შეიძლება გაზრდილ ბიზნეს აქტივობასთან ან გამოცდილების გამიარებასთან იყოს დაკავშირებული, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს.

სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი გვაფრთხილებს საქართველოს ეკონო-



მიკაბე უკრაინული კრიზისის შესაძლო ორმაგ გავლენაზე.<sup>18</sup> მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციები რუსული ბიზნესისთვის ძალიან მტკიცეულ ზომებად არ მიიჩნევა, რუსეთის ეკონომიკა, მთლიანობაში, მაინც აღმოჩნდება პრობლემების წინაშე, რომლებიც გამოწვეული იქნება უკრაინასთან ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვებით; ყირიმის ანექსიის ფინანსური ტვირთით, რომელსაც, შესაძლოა, უკრაინის სხვა რეგიონების ანექსიის ფინანსური ტვირთიც დაემატოს; და ქვეყნიდან ფულის გადინებით. რუსეთის ეკონომიკაში რეცესიული პროცესები აუცილებლად იმოქმედებს საქართველოს მთლიანი ექსპორტის იმ 10%-ზე, რომელიც 2014 წლის პირველ ორ თვეში რუსეთში გავიდა. იგივე შეიძლება ითქვას ფულად გზავნილებზე რუსეთიდან და უკრაინიდან. თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას და ამ ბაფხულს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოწერასთან დაკავშირებით მოსალოდნელ დაძაბულობას, ღვინისა და მინერალური წყლების ქართველი მწარმოებლების მხრიდან გონივრული იქნება, შეიმუშაონ ალტერნატიული გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთის სანიტარული სამსახური „მოულოდნელად“ აღმოაჩენს, რომ ქართული პროდუქცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს ისევ ვეღარ აკმაყოფილებს.

## რეზიუმე

### კონკურენტუნარიანობა

რუსეთის მზარდი აგრესია მის სამეზობლოში თავისთავად მაღალი რისკ-ფაქტორია როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს ეკონომიკისთვის. არ არის გასაკვირი, რომ ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა და ფინანსურმა ქაოსმა მნიშვნელოვნად გააუარესა უკრაინის რეიტინგები საერთაშორისო ინდექსებში. თუმცა, მზარდ გეოპოლიტიკურ დაძაბულობას ჯერჯერობით საქართველოს რეიტინგებზე უარყოფითად არ უმოქმედია. შედარება იმისა, თუ როგორ აისახა მიმდინარე კრიზისი ზოგიერთ ყველაზე ცნობილ ეკონომიკურ და საკრედიტო რეიტინგებში, ზოგადი სურათის დანახვაში დაგვხმარება.

„გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ადგენს, უკრაინის რეიტინგი 10 პუნქტით გაუარესდა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმ პროგრესისა, რომელიც საქართველოს ეკონომიკამ 2005 წლიდან განიცადა, 2012-2013 წლებში საქართველო უკრაინას 4 პუნქტით ჩამორჩებოდა. თუმცა მიმდინარე კრიზისის გამო, იმავე ინდექსის 2013-2014 წლების ანგარიშში, რომელიც 148 ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას აფასებს, უკრაინა 73-დან 84-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ხოლო საქართველო 77-დან 72-ე ადგილამდე დაწინაურდა.<sup>19</sup>

**ბიუროკრატიის დონე: უკრაინა VS. საქართველო**



ბიზნესის წარმოების სიმართვის ინდექსი. მსოფლიო ბანკი. ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრის გრაფიკი

კრიზისი საკრედიტო რეიტინგებზეც აისახა. მიმდინარე წლის თებერვლიდან, ფიტჩმა უკრაინის „ემიტენტების დეფოლტის რეიტინგი“ უცხოურ ვალუტაში, რომელიც B- და B იყო გრძელ და მოკლევადიან პერსპექტივაში, შესაბამისად CCC და C-მდე დაწია. CCC კატეგორია მიუთითებს, რომ ემიტენტის დეფოლტი რეალურად შესაძლებელია და ფინანსური ვალდებულებების შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ მდგრად ბიზნეს და ეკონომიკურ გარემო-პირობებზე. საქართველოს რეიტინგი არ შეცვლილა. საქართველოს

„ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი“ უცხოურ ვალუტაში შეფასებულია როგორც BB- გრძელვადიან პერსპექტივაში და B მოკლევადიან პერსპექტივაში.<sup>20</sup> ეს, ეგრეთ წოდებული, სარისკო კატეგორიაა, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ საკრედიტო რისკი სახეზეა, მაგრამ არსებობს უსაფრთხოების შემლუდული მარჯა. არსებობს იმის შანსი, რომ გრივნის გაუფასურებამ უკრაინის კონკურენტუნოობა გაზარდოს პროდუქციის ღირებულების თვალსაზრისით. ასეთი რამ მოხდა 2008-2009 წლებში, როდესაც უკრაინა

ნაში გრივნის მართვადი გაუფასურების გამო საქართველომ და აზერბაიჯანმა თავიანთი კონკურენტულობის 10-დან 30%-მდე დაკარგეს, „საგარეო კონკურენტულობის ინდექსის“ მონაცემების თანახმად.<sup>21</sup> თუმცა მსგავსი რამ წელს ნაკლებ სავარაუდოა, რადგან გრივნის გაუფასურების პროცესი უმართავია და უკავშირდება ჩვენი რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ კრიზისს, რაც კი ცივი ომის შემდგომ პერიოდში მომხდარა.

იმედს ვიქონიებთ, რომ კიევი და საერთაშორისო თანამეგობრობა წარმატებით შეძლებენ აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული მოძრაობების ლოკალიზებას. თუმცა, უკრაინაში არსებული სიტუაციის ნორმალიზების საუკეთესო სცენარის განხორციელების შემთხვევაშიც კი, უკრაინის რეგიონულ კონკურენტუნარიანობას მაინც მთელი რიგი შიდა ინსტიტუციური სირთულეები ასუსტებს. უკრაინის დროებითი და მომავალი მთავრობების გამოწვევებს შორისაა წარუმატებელი სტრუქტურული რეფორმების მთელი ციკლის გადალახვა და მასობრივი კორუფციის შემცირება. 2013 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსში“ უკრაინა 144-ე ადგილზეა 177 ქვეყანას შორის, საქართველო კი 55-ე პოზიციაზე<sup>22</sup>.

## ენერგოპოლიტიკა

კრიზისის დაწყებამდე, ევროპა რუსული გაზის 4/5-ს უკრაინის მილსადე-

ნების გავლით იღებდა. თავად უკრაინაში, იმპორტირებული აირი ქვეყნის ენერგომომარების 40%-ს შეადგენს. „გაზპრომი“ და მისი ევროპელი პარტნიორები აცხადებენ, რომ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები და კიევის უარი, რუსეთიდან ბუნებრივი აირის შესყიდვაზე, არ იმოქმედებს უკრაინის გავლით ტრანზიტზე. თუმცა, თუ ევროკავშირი ჩაერთვება კიევსა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკებებში უკრაინისთვის უფრო ხელსაყრელი გარიგების მისაღწევად და თუ გერმანია და ევროკავშირის სხვა ქვეყნები რუსული გაზის გარკვეულ მოცულობას უკრაინას უკან მიჰყიდიან, ძნელი წარმოსადგენია, რომ ტრანზიტი ისევე შეუფერხებლად განხორციელდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსული გაზის მიწოდება ევროპელი მომხმარებლებისთვის კვლავაც უკრაინის გავლით გაგრძელდება, არსებულმა დაძაბულობამ და გაზმომარაგებასთან დაკავშირებულმა ხშირმა გაურკვევლობებმა, უკრაინასა და ევროკავშირის რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის გზების უფრო პროაქტიური ძიებისკენ უნდა უბიძგოს.

ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ კიდევ უფრო შეამცირა უკრაინის ენერგოდამოუკიდებლობის შანსები. ორი მსხვილი ენერგოპროექტის – შავი ზღვის სანაპიროზე, ოდესასთან ახლოს თხევადი აირის საცავის მშენებლობა და ყირიმის ნახევარკუნძულის წყლებში არსებული სკიფსკას შელფის საბადოს

მომავალი ბუნდოვანია. გაურკვეველია შეძლებს თუ არა კიევის მთავრობა, შეინარჩუნოს კონტროლი ნავთობისა და გაზის ლიცენზიებზე შავ ზღვაში. ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიცაა Exxon Mobil, Shell და Eni არიან დაინტერესებულნი სკიფსკას საბადოს შესწავლით.

მიუხედავად ამისა, უკრაინას მინც აქვს პოტენციალი, გაზარდოს ადგილობრივი ენერჯოწარმოება. მარაგების მოცულობის მიხედვით დღესდღეობით უკრაინა 24-ე ადგილზეა იმ ქვეყანათა სიაში, სადაც ბუნებრივი აირის რეზერვების არსებობა დადასტურებულია. აშშ-ის ენერჯეტიკის საინფორმაციო სამმართველოს გათვლებით, უკრაინის მთლიანი რესურსები 1.18 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.<sup>23</sup> დასავლეთ ციმბირში გაზის საბადოების აღმოაჩენასა და ათვისებამდე, 1970-იან წლებში, საბჭოთა უკრაინა გაზის ექსპორტს ახორციელებდა რუსეთში. 2013 წელს უკრაინამ ინტენსიურად დაიწყო საკუთარი ფიქლის გაზის რეზერვების შესწავლა. დღესდღეობით კომპანია Chevron-ია დაინტერესებული ქვეყნის დასავლეთში ოლეფკას საბადოს დამუშავებით. ამ საბადოს წელიწადში 8-10 მილიარდი კუბური მეტრი გაზის წარმოების პოტენციალი აქვს; ხოლო Shell-მა ხელი მოაწერა კონტრაქტს იუზივსკას საბადოს შესწავლაზე, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში მდებარეობს და მასშტაბებით ოლეფკას საბადოს მსგავსია<sup>24</sup>.

არსებული სიტუაცია ევროკავშირის წინაშე სამ პოლიტიკურ საკითხს აყენებს: ფიქლის გაზის რეზერვების და განახლებადი ენერჯის წყაროების შემდგომი შესწავლა ევროკავშირის ქვეყნებში; მილსადენების საკუთრებაზე წესების გაუმჯობესება და ამოქმედება, რათა „გაბპრომმა“ ვერ შეძლოს მონოპოლიის მოპოვება ტრანსპორტირების სისტემებზე ევროპაში; და აშშ-ის თხევადი გაზის ექსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა ევროპული ქვეყნებისთვის<sup>25</sup>. და ბოლოს, იმედია ეს კრიზისი „გააცოცხლებს“ ან წარმოშობს ნაბუქოს პროექტის ახალ ვერსიას, რომლითაც შესაძლებელი იქნება ცენტრალური აზიისა და კასპიის ზღვის ბუნებრივი აირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის მიწოდება კავკასიისა და თურქეთის გავლით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არსებული კონსენსუსისა იმის თაობაზე, რომ ევროპულმა სახელმწიფოებმა უნდა შეამცირონ საკუთარი ენერჯოდამოკიდებულება რუსეთზე, რუსეთის ატომური ენერჯის სახელმწიფო კორპორაცია „როსატომი“ კვლავ აგრძელებს რამდენიმე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას უნგრეთში, გერმანიაში და თურქეთში. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობაც. „სამხრეთის ნაკადი“ ახალი მილსადენია, რომელიც რუსულ გაზს სამხრეთ ევროპას უკრაინის გვერდის ავლით მიაწვდის. გარდა ამისა,

მიმდინარე კრიზისი და დღემდე დაწესებული სანქციები, ვერ ახდენს გავლენას ნავთობის და გაზის ინდუსტრიის გიგანტებზე. შემაშფოთებელია, რომ ბოლო თვეებში ამ კომპანიების მიერ რუსეთის ენერჯო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები იზრდება<sup>26</sup>.

ეს პროცესები საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: 1. ევროპის მიერ ენერჯომომარაგების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიცირება ცენტრალური აზიის, კასპიისა და შესაძლოა, ირანული ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოზიდვას გულისხმობს. ამ რესურსების ევროპამდე საქართველოს ტერიტორიის გავლით მითანა თბილისს შესაძლებლობას მისცემს, შეამციროს თავისი დამოკიდებულება აზერბაიჯანულ რესურსებზე. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ აზერბაიჯანი საიმედო მომწოდებელი და სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ ენერჯის მხოლოდ ერთ წყაროზე მნიშვნელოვნი დამოკიდებულება არც ერთი ქვეყნისთვის არის სასურველი; 2. ევროკავშირის ქვეყნების გაზრდილი ენერჯოდამოუკიდებლობა მათი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მეტი თავისუფლების წინაპირობა იქნება, რაც შესაძლოა, ევროკავშირისა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხებზე მათ დამოკიდებულებებზეც აისახოს. და ბოლოს, თუ უკრაინა შეძლებს თხევადი გაზის საცავის აშენებას შავი ზღვის სანაპიროზე, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევა-

ში, ეს ენერჯის ალტერნატიული წყარო შეიძლება იყოს საქართველოსთვისაც.

## **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა**

21 მარტს, უკრაინის დროებითმა მთავრობამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკურ ნაწილს; ასოცირების ხელშეკრულების ეკონომიკურ ნაწილსა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები გრძელდება და სავარუდოდ წლის ბოლოს მოეწერება ხელი. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერამდე და მის სრულად ამოქმედებამდე, ევროკავშირი საბაჟო ტარიფების დროებით გაუქმებას – ერთ-ერთ წოდებული ავტონომიური სავაჭრო ზომების ამოქმედებას აპირებს უკრაინული ექსპორტისთვის, რათა ხელი შეუწყოს კიევის ეკონომიკური სირთულეების გადალახვაში<sup>27</sup>. ევროკავშირის გათვლებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დაეხმარება უკრაინელ ექსპორტიორებს, ყოველწლიურად დაზოგონ 487 მილიონი ევრო ევროკავშირში საბაჟო ტარიფების შემცირების ხარჯზე. თავის მხრივ, უკრაინამ უნდა გააუქმოს ევროკავშირიდან იმპორტზე მოსაკრებლები წელიწადში 371 მილიონი ევროს ოდენ-

ნობით<sup>28</sup>. ამავე დროს, უკრაინას ექნება საშუალება ისარგებლოს გარდამავალი პერიოდებით გარკვეული ტიპის იმპორტზე საბაჟო ტარიფების გასაუქმებლად.

სანამ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამოქმედდება, ევროკავშირ-უკრაინის ვაჭრობა პრეფერენციების განზოგადებული სისტემის მეშვეობით რეგულირდება, რომელიც ჯერ კიდევ 1993 წელს იქნა ხელმოწერილი. ევროკავშირში პრეფერენციული იმპორტი მოიცავს მანქანა-დანადგარებს და მექანიკურ ხელსაწყოებს, მექანიზმებს, ზეთებს, ნახევრადძვირფას ლითონებს, ქიმიურ ნივთიერებებს და ტექსტილს. ითვლება, რომ უკრაინა საკმაოდ ეფექტიანად იყენებს პრეფერენციების განზოგადებულ სისტემას; კიევი ყველაზე ეფექტიან გამოყენებელს შორის 12-ე ადგილზეა<sup>29</sup>.

უდავოა, რომ ევრომაიდნის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებისთვისაც. ხელშეკრულების როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ნაწილის ხელმოწერა 2014 წლის ივნისში იგეგმება. თუმცა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი საქართველოს (და უკრაინის) ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შემდგომი ბედი. 17 აპრილს, ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე რუსეთის ზეწოლის და აღმოსავლეთ უკრაინაში დესტაბილიზაციის თაობაზე.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ასოცირების ხელშეკრულებების ხელმოწერა არ არის ევროკავშირის საბოლოო მიზანი საქართველოს, მოლოდენსა და უკრაინასთან მიმართებაში. სამივე ქვეყანას ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრობის პერსპექტივა აქვს იმ პირობით, რომ ისინი გააგრძელებენ თავიანთი ინსტიტუტების გაუმჯობესებას<sup>30</sup>.

რა გავლენას მოახდენს მიმდინარე კრიზისი საქართველოს და უკრაინის NATO-ში გაწევრიანებაზე, ჯერ არ არის ნათელი. ბევრი რამ შეიძლება მოხდეს NATO-ს მომდევნო სამიტამდე, რომელიც 2014 წლის სექტემბერში უელსში, გაერთიანებულ სამეფოში, გაიმართება. ასეთი იყო აპრილის ბოლოს თბილისში ვიზიტით მყოფი საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების გზავნილიც. დღესდღეობით მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი – NATO არ არის მზად რუსეთთან ფართომასშტაბიანი კონფრონტაციისთვის უკრაინის ან თუნდაც საქართველოს გამო, მაგრამ ის ერთგული რჩება პრინციპისა, დაიცვას თავისი წევრი ქვეყნები. აღმოსავლეთ ევროპელი მოკავშირეების მხარდაჭერის მიზნით, აშშ-მ განაცხადა, რომ 600 საჰაერო-სადესანტო ოფიცერს განალაგებს პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში განუსაზღვრელი ვადით. პენტაგონმა ასევე გააგზავნა 12 ერთეული F-16 რეაქტიული გამანადგურებელი და დამხმარე გუნდები პოლონეთში წლის ბოლომდე და გააძლიერა საჰაერო პატრული-



რება ესტონეთში. თეთრი სახლი ასევე ხელახლა ფიქრობს ანტისარაკეტო და სარადარო სისტემების დაყენებაზე პოლონეთსა და ჩეხეთში. ეს გეგმა თავდაპირველად ჯორჯ ვ. ბუშის ადმინისტრაციამ შეიმუშავა.

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივის გარდა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას კიდევ ერთი პოლიტიკური შედეგი აქვს საქართველოსთვის – მან გაუადვილა ქართველ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს, დაიცივან ქართული პოზიცია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით. ახლა ბევრად რთულია სკეპტიკოსებისთვის ბრიუსელსა და ვაშინგტონში ამტკიცონ, რომ საქართველოც და რუსეთიც თანაბრად დამნაშავე იყვნენ 2008 წელს სამხედრო კონფრონტაციის დაწყებაში.

## **ეს ყოველივე საქართველოსთვის ნიშნავს, რომ:**

- იქნება შესაძლებლობა, გაიზარდოს ვაჭრობა ორ მხარეს შორის, განსაკუთრებით კი, იმპორტი უკრაინიდან; თუმცა, სავაჭრო მარშრუტის უსაფრთხოება, განსაკუთრებით ბორნის მეშვეობით, შესაძლოა პრობლემატური გახდეს. ქართული პროდუქტები სავარაუდოდ გაძვირდება უკრაინელი მომხმარებლებისთვის.
- ფულადი გზავნილები მცირდება, მაგრამ არა მკვეთრად. თუმცა, პირ-

დაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც გასულ წელს ფულადი გზავნილების თითქმის ნახევარს შეადგენდა, შესაძლოა ერთბაშად შეჩერდეს მოკლევადიან პერსპექტივაში. ვინაიდან უკრაინა არ არის საქართველოს მსხვილი ინვესტორი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის უარყოფითი მაჩვენებელიც კი არ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საქართველოს ეკონომიკისთვის.

- არ არის მოსალოდნელი რაიმე სერიოზული ზემოქმედება საქართველოს ფინანსურ სექტორზე.
- სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკრაინის კონკურენტულობა რეგიონში მცირდება, მაგრამ საქართველო უკრაინის ხარჯზე ვერ მოიგებს. რეგიონში რუსეთის კიდევ ერთმა აგრესიამ საქართველოს ეკონომიკის რისკ-ფაქტორიც გაზარდა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაივლის ამ წელიწადს საქართველო.
- რეგიონული ენერგოპოლიტიკა შესაძლოა შეიცვალოს საქართველოს სასარგებლოდ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში.
- გავლენა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე ჯერჯერობით არ არის ნათელი. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება კრიზისი უკრაინაში.

## სქოლიო

- 1 ორმხრივი ბრუნვა 1996 წლის 44.5 მილიონ აშშ დოლარიდან 2013 წელს 795 მილიონ დოლარამდე გაიზარდა; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
- 2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. 2013 წელს საქართველოში უკრაინის მონაწილეობით შექმნილი კომპანიები.
- 3 იხილეთ, Who's Who in Ukraine's Kamikadze Cabinet; რადიო თავისუფლება (Radio Free Europe Radio Liberty), 27 თებერვალი, 2014.
- 4 Away from Show of Diplomacy in Geneva, Putin puts on a Show of His Own; The New York Times, 17 აპრილი, 2014.
- 5 რეალური მშპ-ის კლება შეიძლება აიხსნას მოსალოდნელი მკაცრი ფისკალური ზომების გატარებით, რუსეთის მიერ დაწესებული სავაჭრო შეზღუდვებითა და ენერგომატარებლებზე გაზრდილი ფასებით. მშპ-ის 3%-იანი კლება ერთჯერადი დანაკარგია რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიის გამო.
- 6 უკრაინა, ეკონომიკური მდგომარეობა; SigmaBleyzer and the Bleyzer Foundation; აპრილი 2014.
- 7 Ukraine. Special Focus: Residential Gas and District Heating Tariffs in Ukraine. მსოფლიო ბანკი, 7 ოქტომბერი, 2013
- 8 იქვე.
- 9 საგარეო ვაჭრობა თვეების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
- 10 უკრაინა, ეკონომიკური მდგომარეობა; SigmaBleyzer and the Bleyzer Foundation; აპრილი 2014.
- 11 იქვე.
- 12 Ukraine 2012. Energy Policies beyond IEA Countries series; ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო.
- 13 უკრაინა, ეკონომიკური მდგომარეობა; SigmaBleyzer and the Bleyzer Foundation; აპრილი 2014.
- 14 იქვე.
- 15 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით; საქართველოს ეროვნული ბანკი.
- 16 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
- 17 ვიზიტორების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით; საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემები.
- 18 უკრაინის კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, რადიო თავისუფლება; 22 მარტი, 2014
- 19 The Global Competitiveness Report 2013-2014, (გლობალური კონკურენტულობის ანაგრიში 2013-2014), სრული მონაცემების გამოცემა; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

- 20 იხილეთ, ფიტჩის რეიტინგების ცვლილება უკრაინისა და საქართველოსთვის ვებგვერდზე [countryeconomy.com](http://countryeconomy.com).
- 21 Exchange Rates during the Crisis (გაცვლის კურსები კრიზისის დროს); მსოფლიო ბანკი 2009; გვ. 15
- 22 Corruption Perception Index 2013; (კორუფციის აღქმის ინდექსი); საერთაშორისო გამჭვირვალობა.
- 23 Ukraine’s Shale Gas Lures Western Companies; the Financial Times; 14 ნოემბერი, 2013.
- 24 იქვე.
- 25 WRAPUP 1: Ukraine crisis spurs EU to cut reliance on Russian gas; როიტერი, 11 მარტი, 2014.
- 26 Digging Themselves in Deeper. Why Big Oil is doubling down on Putin’s Russia. Foreign Policy Report; 22 აპრილი, 2014.
- 27 Conclusion on Ukraine; (დასკვნა მდგომარეობაზე უკრაინაში); ევროპის საბჭო; 20 მარტი, 2014.
- 28 ევროკავშირ-უკრაინის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება; ევროკომისია.
- 29 ევროკომისია; Trade by countries and regions (ვაჭრობა ქვეყნების და რეგიონების მიხედვით).
- 30 ევროპარლამენტი; Resolution on Russian pressure on Eastern Partnership countries; (რეზოლუცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე რუსეთის ზეწოლის შესახებ) 17 აპრილი, 2014

## ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის შესახებ

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) იმ იშვიათი ტიპის კვლევით ცენტრებს (ე.წ. think tank) მიეკუთვნება, რომლებიც ანალიტიკური საქმიანობის და ადვოკატირების მეთოდების კომბინირებით ახერხებენ ყველაზე აქტუალური ეკონომიკური საკითხების წინ წამოწევას. EPRC ფართო საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აწვდის დროულ, კვალიფიციურ და ფაქტებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებსა და ანალიტიკურ პროდუქტს, ხელს უწყობს აქტუალურ საკითხებზე საჯარო დებატებს და აღნიშნულ საკითხებში საზოგადოების გარკვევას.

დაარსების პირველივე დღიდან EPRC აქტიურ როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო სექტორს შორის სამუშაო კონტაქტების გამყარებაში. EPRC-ის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხები, ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობა, მსხვილი სახელმწიფო თუ დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და სხვა. არსებობის თითქმის 12 წლის მანძილზე EPRC-მ შეიძინა ობიექტური, სანდო და კვალიფიციური ინფორმაციის წყაროს რეპუტაცია.



## საქართველო და უკრაინა 2013 წელს

**\$795**

სავაჭრო ბრუნვამ  
შეადგინა \$795 მლნ.

**126 797**

უკრაინელი ვიზიტორი  
ჩამოვიდა  
საქართველოში

**\$25.4**

პირდაპირმა უცხოურმა  
ინვესტიციამ უკრაინიდან  
შეადგინა \$25.4 მლნ.



**\$45.6**

ფულადმა გზავნილებმა  
უკრაინიდან  
შეადგინა \$45.6 მლნ

**136**

კომპანია დაარსებულა  
უკრაინის მოქალაქეების  
თანამონაწილეობით საქართველოში



ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)

ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24, მეოთხე სართული, 0162, თბილისი, საქართველო.

ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305

e-mail: [info@eprc.ge](mailto:info@eprc.ge)

[www.eprc.ge](http://www.eprc.ge)